საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №131/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 8 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 23 ივლისის №131/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს მოსამართლის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებულ ტექნიკურ შეცდომასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც რამოდენიმე თვეა ვერ ხერხდება მოპასუხე მხარისთვის უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების ჩაბარება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 23 იანვარს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. საქმე გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 23 იანვრის განჩინებით მოსარჩელე -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე -- -- აეკრძალა უძრავი ქონების, მდებარე - -- გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. 2018 წლის 7 თებერვალს -- -- სასამართლოში მოსარჩელემ წარადგინა მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარების დასტური.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 23 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო -- -- სარჩელი მოპასუხე -- -- მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა; -- -- -- -- სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურების სახით 6,200 ლარის გადახდა. 2018 წლის 15 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელის წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე. 2018 წლის 22 მარტს სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების თხოვნით. -- -- სასამართლოს 2018 წელის 30 მარტის განჩინებით -- -- წარმომადგენლის -- -- განცხადება უსწორობის გასწორების თაობაზე დაკმაყოფილდა.

02.04.2018; 03.04.2018; 17.04.2018 წ. პერიოდებში მოპასუხე მხარეს გაეგზავნა უსწორობის განჩინება.

2018 წლის 25 აპრილს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კურიერის გამოყოფა მოპასუხისთვის განჩინების ჩასაბარებლად. 2018 წლის 30 აპრილს მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა მოპასუხის მიერ განჩინების ჩაბარებაზე უარის დასტური. 2018 წლის 14 მაისს მოსარჩელის წარმომადგენელმა ჩაიბარა კანონიერი ძალაში შესული განჩინება და სააღსრულებო ფურცელი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 8 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს. (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც …არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577).

მოცემულ შემთხვევაში საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებულ ტექნიკურ შეცდომას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს

ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააღსრულებო ფურცელში დაშვებულ ტექნიკურ შეცდომასთან დაკავშირებით მოსამართლემ განცხადებით მიმართვიდან ერთ კვირაში მიიღო უსწორობის გასწორების შესახებ განჩინება. საყურადღებოა, რომ გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის ვადა საპროცესო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

მოსამართლემ მოკლე ვადაში უზრუნველყო დაშვებული ტექნიკური უსწორობის შესწორება. ის ფაქტი, რომ მოპასუხე მხარე თავს არიდებდა აღნიშნული განჩინების ჩაბარებას ვერ ჩაითვლება მოსამართლის მიერ მოვალეობის არაჯეროვან შესრულებად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №131/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი